



საქართველო

რესპუბლიკა

მთავრობის მოაზრება, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლით 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე, წელიწადში 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგინილი ნიხრით კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუაღღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1-82

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ა. ვეფხვიანის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ოთხშაბათს, ნოემბრის 12-ს შუღინას, ვიშევირსკაიას, ხორინას, სარაჯიშვილის, ინაშვილის მ ნაწილებით

აბესალომ და ეთერი

ხუთშაბათს ნოემბრის 13-ს მ. ს. დავითაშვილის მეორე გასტროლი „სევილელი დალაქი“. პარასკევს ნოემბრის 14 ს „ტრაგედია“, შაბათს ნოემბრის 15-ს მუშებისათვის ოპერა „დე მონი“, კვირას ნოემბრის 16-ს „აიდა“.

საქართველო. ცენტრ. კოპერატ. კავშირის ქართული დრამატული სტუდია.

არსისტიული საზოგადოების თეატრი

ოთხშაბათს, გიორგობისთვის 12 ს 1919 წ. საღამოს 8 საათზე შ. შაუშტმანი

3 ა ნ ე ლ ე

სანახაობა 2 მოქმ.

ე. როსტანი რომანტიკოსანი კომედია 1 მოქმ.

შემდეგ: სარწმუნოება, თეთრი ვახშიმი, ავეგროზი.

რეჟისორი მ. ქორელი. რეჟისორის თანაშემწე გ. ერისთავი.

შედეგნილობა, —ქალნი: ანჯაფრადე გ., გამრეცილი ბ., ეპიტაშვილი ს., ნოლოდი ნ. ქიქოძე ახ. ციმაკურიძე გ. ლორ ბერძენი თ. წერეთელი ნ. ჯიქიაშვილი ს. ჩიკინიძე ნ. ვაჟნი: აბაშიძე ვანო. ანთაძე ბოქორიშვილი მ. გელოვანი მ. გულიშვილი მ. ერისთავი გ. ციხაძე წ. თაზიშვილი გ. სარჩიშვილი გ. ქორელი მ. შათირიშვილი კ. ლამაზიძე შ. ძნლაძე დ. ყიფშიძე გ. ჭაბუკიძე მ. ჯაბაძე ი. ვასაძე ა. რეუხორანი. ქორელი მ. შათირიშვილი კ. ჯაბაძე ი. სახატაძე საბულო: ამირჯანიშვილი მ. ერისთავი ნ. ზარაშვილი შ. ციგარელი ვ. გოგუბაშვილი შ. კავთარაძე პ. შვიგარდანიძე დ. რეუხორანის თანაშემწე: ერისთავი გ. სტენა-რიუსი: ანთაძე ი. სუფლიანის: ბოქორიშვილი ნ. გულიშვილი მ. დეკორანი: ბაგატრიანი ვ. ნაღბიშვილი გ. უფრასი მკრავალი: სიზრანოვი ა. შიკრიკი სიდ მონიძე ი. 97 3-2 სტუდიის დირექტორი გ. ჯაბაძე

წიგნების გამომცემლობა „ქართული ბიბლიოთეკა“

აქცადებს მწერალთა და მთარგმნელთა საყურადღებოდ, რომ ის სტუმრს, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, ისე სახელმძღვანელოებსაც. პირველ წიგანდ გამოდის

დიხ რიანაელის ახალი დიდი რომანი ორ ნაწილად

„ქ ე თ ო“

გამომცემლობის კანტორა იწყობება გრიბოედოვის ქუჩაზე, ს.ხლი № 15. პირადად მოლაპარაკება შეიძლება 12—2 საათამდე.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

1899 წელსი დაგადგულ ახალგაზდა მოქალაქეთა სახელმწიფო გეგმის მოსახდელად გ. წვავაძე.

ტფილისის ქალაქის გაგებობა ამით აქცადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 1899 წელსი დაგადგულ ახალგაზდა პირთა ჯარში გაშვები და მიიღები კომისია მიმდინარე წელს შედგება თავის მოქმედებას ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის საპარაფელი თნ (ყოფილ სამხედრო უფროსის სამმართველოსთან, ვაგზალის მიღინა, სახლი თამაშვილის) შესაქრებ ადგილზედ, განსაკუთრებულ შენობაში, ქვემო აღნიშნულ დღეებში, დილის 8 საათიდან: 15 ნოემბერს, შაბათს, იმ პირთა ჯარში გასაწვად, ვისაც არ მოეპოვება წლოვანობის დასამტკიცებლად მეტრიკული მოწმობები, მაგრამ საკომლო სიის ჩვენებით ან გარეგან შეხედულებათ მეტრიკული არიან ჯარში გასაწვევ პირთა სიაში, ამით გარდა იმ პირთა გასაწვევად, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წლის იანვარში და თებერვალში:

- 16 ნოემბერს, კვირას იმ ახალგაზრდა პირთა ჯარში გასაწვევათ რომლებიც არიან დაბადებულნი მარტში და აპრილში.
 - 17 ნოემბერს, ორშაბათს, ვინც არიან დაბადებულნი მაისსა და ივნისში.
 - 18 ნოემბერს, სამშაბათს, ვინც არიან დაბადებულნი ივლისსა და აგვისტოში.
 - 19 ნოემბერს, ოთხშაბათს, ვინც არიან დაბადებულნი სექტემბერში და ოქტომბერში.
 - 20 ნოემბერს, ხუთშაბათს, ვინც არიან დაბადებულნი ნოემბერში და დეკემბერში.
 - 21 ნოემბერს, პარასკევს, იმ პირთა გასაწვევ დ რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ. მიწერილნი არიან სამხედრო ბეგრის მოახდელად რესპუბლიკის ქალაქებში ან მ.ზრებში, მაგრამ ამ წ. 21 ნოემბერს სტოგორენ ქალ. ტფალისში.
- შენიშვნა: განსაკუთრებული სია იმ ადგილობრივ მოქალაქეთა, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ. და შეტანილი არიან ქალ. ტფილისის მოქალაქეთა ჯარში გასაწვევ სიაში, გამოიკიდება საყოველთაო საცნობელად ტფილისის ყველა უბნებში. მიმდინარე წელს ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში შემდეგი:
1. გაწვეული ახალგაზდანი, მოვალნი არიან თავის დაბადების დროის მიხედვით, უკუწვლად გამოცხადდენ დანიშნულ ადგილზე და ვადაზე და თან უნდა იქონიონ ბაფორთი ან სხვა რაიმე მოწმობა თავისი პიროვნების დასამტკიცებლად.
 2. ის ადგილობრივი მოქალაქენი, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ., მაგრამ რაიმე მიზეზებისა გამო არ არიან შეტანილი ქ. ტფილისის ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა სიაში, მოვალნი არიან, რათა აიცილონ თავიდან კანონიერი პაუზისგება, გამოუცხადონ ეს ქალაქის გაგებობის სამხედრო განყოფილებას 15 ნოემბერამდე და თან წარუდგინონ წლივანობის საბუთად მეტრიკები; მხოლოდ ვინც მათგანი ამას ვერ მოაწრობს 15 ნოემბრამდე, უნდა გამოუცხადოს თვით მიიღებს კომისიის დანიშნულ გასაწვევ დღეებში.
 3. ერთად-ერთი ოჯახის მარჩენელი, თანახმად 1919 წ. 20 მაისის კანონისა, იქნება განთავსდებული ჯარში გაწვევისაგან ლაშქარში ჩარცხვით, თუ ის წარადგენს ამაზედ სათანადო მოწმობას, რომელიც უნდა მიიღოს მან ტფილისის თვითმართველობისაგან ან სამხედრო ერობის გამგეობისაგან.
 4. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ სათანადო მოწმობებს, სამხედრო ბეგრის ვადა გადაედებათ 21 წლის შესრულებამდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უმაღლის სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წელს, არა აქვთ უფლება სამხედრო ბეგრის ვადის გადადება და ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ამ ბეგრის მოსახდელად.

5. სამართალში მიცემული და გამოძიებაში მყოფი პირნი ისეთ საქმეებისათვის, რომელიც გულისხმობს უფლებას აყრას ან შეზღუდვას, სამხედრო ბეგრის მოსახდელად არ გაიწვევიან, ვიდრე მათი საქმე არ გათავდება.

6. არავითარი სამსახური არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებებში (გარდა სამხედრო სამსახურისა), არც სახალხო გვარდიაში და არც მილიციაში არ ანთავი უფლებს მოქალაქეთ ჯარში გაწვევისაგან;

7. თანახმად დამფუძნებელ კრებისაგან 1919 წ. 2 აგვისტოს მიღებულ დეკრეტისა შენობაში სამხედრო ბეგრის აღორფლობის და ამ დანიშნულების დაფარვის და წაქრებისა, თუნდაც წამქრებელი და დახმარე მშობელი ან სხვა ახლო ნათესავი იქნეს, დამნაშავე დაიხსება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ხენებულ დეკრეტის 1 და 3 მუხლში და განსახდელად ბოროტ მოქმედებაში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის და გამასწორებელ საჯრლო დებულების მე-120, 121 და 124 მუხლებში. 94 3-3

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

გ. გ. ადელსანოვის სააკირო საზოგადოების გაგებობა

აქცადებს საზოგადოებას, რომ მის მიღნიობაში (სამხედრო ბაზარი, ტფილ. საკრედ. საზ. შენობაში) მიღებულია ტყვისა და ჩულის დიდძალი საქონელი საკუთარ წარმოებისა, ფაბრიკის ფასებში. 2-2 91.

სტუდიის მიხაილის საავად-გეოგოფიკური ახალგაზდა,

რომ 13 ნოემბერს დღით ხუთშაბათს, დილის ათს საათიდან არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა ძველი ტანსაცმელისა დარჩენილი სხვა და სხვა პირის სიკვდილის შემდეგ. 3-2

ქართველ მხატვართა საზოგადოება.

სურათების საუბოლოდგომო გაგეგმვა.

გამოფენაზე მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვარს.

2 სურათების მიღება ხდება 10 დან 15 ნოემბრამდე დილის 12 სათ. (2 საათამდე. (დიდების ტაძარი“ რუსთაველის პრ. № 13)

4-1 გამოფენის მომწყობი კომისია.

ოფიციალური განყოფილება.

გ რ კ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროების მიმართ.

11 გიორგობისთვის, 1919 წ., № 203.

ვინაიდან ახალციხის და ახალქალაქის მხარებში სამხედრო ერობები ჯერ ჯერობით მოუწყობელია და ამ წელში კი ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის დროს მოახლოვდა გზრძანებ:

ახალგაზრდათა მიიღებ კომისიებში თავმჯდომარეობის მოვალეობა დაეკისროს ადგილობრივ მხარეების კომისიებს.

მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ა გ ა ნ ი .

მთავრობის საქმეთა მმართველობა.

10 ნოემბერი 1919 წ. № 32.

1. მთავრობის საქმეთა მმართველობის ბუხალტერი ბეჟან ნიკოლოზის ძე ტატიშვილი განთავისუფლებულ იქნას ამა წლის 1 ნოემბრიდან ხაზინდარის მოვალეობის ასრულებიდან.

2. ამავე მმართველობის ხაზინდარად დაინიშნოს ამა წლის 1 ნოემბრიდან პავლე იესეს ძე ცინცაძე; მასვე დაევალოს არქივის მოწესრიგება.

მთავრობის საქმეთა მმართველი ქ. ჯაფარიძე; მდივანი დიდებულიძე.

მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.

24 სექტემბერი, 1919 წ. № 814.

ჩარიცხულ იქნას: სამიჯნაო განყოფილე-

ბის სამსახურში ამა წლის 19 სექტემბრიდან მიწის მზომლის თანაშემწედ ყოფილი ტოპოგრაფი ტყეების მოწყობისა კავკასიაში მიხეილ სიმონის ძე მახარაძე ოზურგეთის მაზრაში გამწესებთ.

25 სექტემბერი, 1919 წ. № 315.

ინიშნება: შინაურ კურდღლების მოშენების ინსტრუქტორად ნიკოლოზ პოლუშკინი ამა წლის ენკ. 1 დან ღვინობისთვის 1-დე ქირით.

26 სექტემბერი 1919 წ. № 316.

ინიშნება: ა. ს. იობიძე წინანდლის მამულის უმცროს მეღვინეთ ამა წლის ენკენისთ. 20 დან.

27 სექტემბერი, 1919 წ. № 317.

ინიშნება: ტფილისის მიწის მზომლის სასწავლებლის კურს დამთავრებული სამხედრო ტომოგრაფიულ სასწავლებლის ყოფილი ინჟერი ივანე თევდორეს ძე შორაზოვი 25 ამა სექტემბრიდან სენაკის მაზრაში გამწესებით სამიჯნაო განყოფილების მიწის მზომლის თანაშემწედ.

29 სექტემბერი, 1919 წ. № 318.

ინიშნება: გ. გ. სანაძე მიწათ მოქმედების სამინისტროს მეღვინეობა მევენახეობის სპეციალისტად ამა წლის მარიაპოლისთვის 1 დან.

დათხვენილია: სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულთა განყოფილების რეგისტრატორი მ. გ. მაჩაბელი ამა წლის ღვინობისთვის 1-დან.

№ 319.

დათხვენილი არიან: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის საძოვარსაიჯარო განყოფილებიდან სახელმწიფო ფონდის მ. წეზის გაგენი: ლეჩხუმის მაზრისა ბიჭტორ ქილიძე ამა წლის 1 ენკენისთვიდან, ოზურგეთის მაზრისა II რაიონის საადგილ მამულთა ფონდის გამგე ვლადიმერ გიორგის ძე დადანი ორთავენი ამა წლის 1 ღვინობისთვის-დან.

30 სექტემბერი, 1919 წ. № 320.

დათხვენილი არიან: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ქუთაისის ტყის გამგე ზ. ი. ლომინაძე და აჯაყეთის და ვარციხის აგარაკებში ტყის მასალის დამზადების ტენიკი ნ. ი. მალეჩნიკი 14 აპრილიდან 1919 წ.

№ 321.

დათხვენილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ტყის ტენიკური ნაწილის სპეციალისტი ა. ა. როსტოვეცივი 15 ენკენისთვიდან 1919 წ.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

ნ. ხოშტარი.

არა ოფიციალური განყოფილება

იუსტიციის სამინისტროში

გამომძიებელთა და მომრიგებელთა სამართლებითა კამერების დათვალიერება.

პარასკევს, ნოემბრის 7-ს იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელმა გ. თ. ჟორდანიამ ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორთან მ. ა. ტატიშვილთან ერთად დათვალიერა ქ. ტფილისის გამომძიებლების და ზოგიერთ მომრიგებელ მოსამართლეთა კამერები. დათვალიერ-

რების დროს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული საქმის წარმოების წესიერებას და სისწრაფეს, საქმეთა რიცხვის გადღებას და ან შემცირებას და სხვა.

ანგარიშის მოთხოვნა.

იუსტიციის სამინისტრომ მიწერილობა გაუზღვანა ტფილისის სასამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარეს და ამავე პალატის პროკურორს, იათა სამინისტროს სასწრაფოდ წარუდგინოს ხსენებულ დაწესებულებათა და ყველა მის ხელქვეით დაწესებულებათა და თანამდებობის პართა საქმინობის შესახებ წარსულ წლის განმავლობაში.

მოხსენებანი საგანგებო საქმეთა შესახებ.

რადგან იუსტიციის სამინისტროს ყველა სასამართლოს პროკურორებისაგან არ მოსდის წესიერად მოხსენებანი საგანგებო საქმეთა დაწესების და მსვლელობის შესახებ, ამიტომ სამინისტრომ შეადგინა სასწრაფო მიწერილობა გაუზღვანა პროკურორის ნაწილს ყველა თვალსაჩინო საქმის შესახებ წესიერად და სასწრაფო მოხსენების მოწოდების შესახებ.

კახუშვიტაძის მკვლელობის საქმე.

ოქტომბრის 25 ს. ქ. ტფილისში პუშკინის ქუჩაზე რჩენერ კასუბკოვის მკვლელობის საქმე იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით გადაეცა გამოსაძიებლად სასამართლო პალატის უდიდეს საქმეთა გამომძიებელს მ. თ. ჯომარაძეს.

კოჯორის გზაზე ფოსტის გაძარცვის სამე.

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა პროკურორის ნაწილს ყოველგვარი ზომები მიიღოს, რათა კოჯორის გზაზე ფოსტის გაძარცვის საქმის გამოძიება უახლოეს დღეებში დამთავრდეს და გასარჩევად გადაეცეს სასამართლოს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისათვის.

იუსტიციის სამინისტრო ყოველგვარ ზომებს იღებს, რათა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოღებულ იქნას არა უგვიანეს 1920 წლის იანვრის 1 სსა.

მოხსენებანი ქუთაისის ოლქის სასამართლო პროკურორისა.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ამა წლის ოქტომბრის 23 და 24 ბოლშევიკების გამოსვლების შესახებ: წინადადება მიეცა განსაკუთრებულ საქმეთა სასამართლოს გამომძიებელს დევიდს შეუდგეს გამოძიების თანახმად სასჯ. დეკრ. მე-100 და 123 მუხ.

ოქტომბრის 21 ს. დღის 7 საათზე მალთაყვის ხედის ახლო ბოროტ გამზრახველებს გაუძარცვათ ფოთიდან სუფაში ეტლით მიმავალი სერბის კონსული (ქ. ბაჟუში) სახა სტეფანის ძე ველდერი. ბოროტ-გამზრახველნი ვერც დაზარალებულა და ვერც შეეტლეს ვერც უცხინათ. იქვით დაპატიმრებული არიან ნაფიც-სადავრის მუშა არსენ გუნია და კალისტრატე ქორიძე. გამოძიება სწარმოებულა.

დეპეშა სიღნაღიდან.

სიღნაღის მაზრის მოსამართლეთა ყრილობა გულწრფელ საღამა უძღვნის საქართველოს პირველ სენატს და უსურვებს მას ნაყოფიერებას საქართველოს კანონიერების და სამართლის დაცვაში.

ყრილობის თავმჯდომარე
შალვა ტატიშვილი.

საქართველოს მტრების მოწყობილი აგრონებანი და გათი ლიკვიდაცია.

ტფილისი. ნოემბრის 11. გასულ 24 ოქტომბერს რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეებში მოწყობილი გამოცლა რეპუბლიკის მტრებისა, მთავრობის მიერ მიღებული ზომებით და ხალხის მისდამი მტრული დამოკიდებულებით სწრაფ ჩაქრობილ იქნა. მიუხედავად ამისა რესპუბლიკის მტრებმა ხელ ახლა სცადეს სხვა და სხვა კუთხეებში ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და მით ჩვენს ქვეყანაში არეულობის გამოწვევა. ნოემბრის 9 დღით სოფ. ახალქალაქში და მეჯვრისხევში (გარის მაზრა) შეთქმულების მოწაწილებმა დაატყსადეს ადგილობრივი ადმინისტრაცია და სათემო თვითმართველობის წევრები, ხოლო სოფელ მეჯვრისხევში გარდა ამისა მილიციის ადგილობრივი უფროსი, სახალხო გვარდიისა და სამაზრო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომებით რამოდენიმე საათს შემდეგ შეიპყრნენ შეიპყრეს და სრული წესიერება აღდგინდნენ. შეთქმულებანი უქთავ-

რეს მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სამიციტრების პატრონები, რომელნიც წინეთ დაწინაურებული პარტიის წევრებთან ითვლებოდნენ, გარდა ამისა ადგილობრივ ქურდ-ბაცაცები. დაპატიმრებული რიცხვით 40 კაცი, სასამართლოს გადასცეს ქ. ლანჩხუთში ნოემბრის 9-ს, დღის 3 საათზე ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს ყველა ადგილობრივი, საზოგადოებრივი და მთავრობის დაწესებულებანი, დაწვეტიეს ტელეგრაფის მავთულები და დაატყსადეს ქალაქის საბჭოს ხმისანი წილოსანი. ადგილობრივმა სახალხო გვარდიის შტაბმა მიიღო სასწრაფო ზომები და რამდენიმე საათის შემდეგ შეიპყრნენ, რიცხვით ასი კაცი, შეიპყრა, შეტაკების მოკლულ იქნა ერთი გვარდიელი. შეიპყრნენ და უპრავედობას წარმოადგენენ გურიის სხვა რაიონებიდან გამოწვეული ბნელი პარები, უმთავრესად ყაჩაღები და ქურდ-ბაცაცები. ამავე დღეს, დღის 5 სათ. ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს სოფელი სუფსა და დაეპატრონენ ადგილობრივ დაწესებულებებს. იმავე დღესვე ჯავშინიანმა მატარებელმა ადგილობრივ გვარდიის და მილიციის დახმარებით აღადგინა სრული წესიერება, და შეიპყრა 40 კაცი. შეტაკების მოკლულ იქნა სამი გვარდიელი.

ნოემბრის 9-ს ბრძომა ხელ-თიგდა დ. ჩოხატაური, გამოაცხადა იქ საბჭოთა მთავრობა და დაატყსადეს სახალხო გვარდიის შტაბის წევრი ჩიგოგიძე. მეამბოხეთა ხელმძღვანელებდნენ ცნობილი ყაჩაღი პაიჭია, ინგლისელი ექიმის მკვლელი და აგრეთვე ცნობილი ყაჩაღი შანტაყისტი გიორგი ძნელაძე. შეპყრობილია მრავალი მძარცველი. მთელს გურიაში ხალხმა ენერგიული მონაწილეობა მიიღო შეთქმულებათა ბრძოლს წინააღმდეგ მოქმედებაში. ყოველგან სრული წესიერება აღდგინილია. ამოხსენის ყველა მონაწილენი განსაკუთრებულ სასამართლოს ადგილობრივ გასასამართლებლათ.

ჯგ წყვილის საქმის გამოძიება

იუსტიციის სამინისტროს წინადადებით, უკანასკნელ დღეებში საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მომხდარ ბოლშევიკურ აჯანყების საქმის გამოძიების დასაჩქარებლად მიღებულია საგანგებო ზომები. ხსენებულ საქმეების გამოძიება გადაეცემა არა უნის გამომძიებლებს, რომელიც დატვირთულნი არიან თავის ჩვეულებრივ საქმიანობით, არამედ ოლქის სასამართლოს რამოდენიმე წევრს, რომელნიც განთავის უფლებდნენ იქნებოდა თავისი პირდაპირი მოვალეობის აღსრულებისაგან და მთელს დროს მონაწილეობენ კომუნისტების საქმეების გამოძიებას სხვა და სხვა რაიონებში. სათანადო მიწერილობა უკვე გაუზღვანა ტფილისის ოლქის სასამართლოს და (დეპეშით) ქუთაისისას. სოხუშის ოლქში ბოლშევიკების საქმის გამოძიებას აწარმოებენ საგანგებო საქმეთა გამომძიებელი. ხსენებულ საქმეების გამოძიების თვალსაზრისით დეპეშა პირადად დაევალა სასამართლო პალატის ახალ დანიშნულ პროკურორს მ. ა. ტატიშვილს. ამასთანავე იუსტიციის სამინისტრომ სთხოვა წინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო გამომძიებლების განკარგულებაში საგანგებო რაზმის რამოდენიმე გამოცდილ თანამშრომლის გაგზავნა, ხოლო სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ადგილობრივ შტაბებისთვის მიწერა, რომ გამოძიებულებს ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ. სამინისტრომ აგრეთვე სასწრაფო შეამდგომილობა აღძრა მთავრობის წინაშე ათ მილიონიან ფონდიდან 50,000 მანეთის გადადების შესახებ ბოლშევიკების საქმის გამოძიების გამოწვეულ საგანგებო ხარჯების დასაფარავად.

რეზოლიუცია მაიმენტის შესახებ.

ს. ს. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობამ, მრავალ რიცხვან რკინის გზელთა თანდასწრებით, მოისინა რა ცნობა ავაზაკთა მიერ მოწყობილ მატარებლის დამსხვრევის შესახებ, გამოთქვამს თავის უღრმეს აღფრთხილებას და ზიზს ამ საშიშელი ბოროტ-მოქმედების ჩამდენ წინააღმდეგ. ყრილობას სწამს, რომ ავაზაკთა და ხელიგანათა ბნელ საქმეში ურევია პოლიტიკური ინტრიგის ხელს, საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული.

ყრილობა აცხადებს, რომ დღევანდელ საგანგებო მდგომარეობაში, როდესაც რესპუბლიკის უტყვე მტერი შიგნით და გარეთ, როდესაც ჯერ კიდევ ნომალური პირობები არ დამყარებულა, შეუსაბამოთ მიჩანია სახელმწიფოს მტერთა წინააღმდეგ ჩვეულებრივის კანონიერის წესით მართვა, როგორც ეს უფლებრივ სახელმწიფოს წესწყობილებას შეე-

ფერება. ხალხის სისხლით მთავრებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას საფრთხეს უზადებს ანარქია და გარემოება გადაჭრით უკარანხებს მთავრობას, რათა მან ანარქიასთან ბრძოლაში მიმართოს არა ჩვეულებრივ, საგანგებო და უსასტიკეს ზომებს, როგორც ბოროტებას პირდაპირ მონაწილეთა წინააღმდეგ, აგრეთვე ყველა იმ პირთა, რომელნიც ასეთ ბოროტ მოქმედებას ხელს უწყობს ან ჰფარავს.

ყრილობა მოუწოდებს ამხანაგ რკინის გზელთ, განსაკუთრებით მეჩინანეთ და კონდუქტორთ, რომ მათ კვლავინდებურის სიმტკიცითა და თავდადებით განაგრძონ თავიანთ მოვალეობის ასრულება. მათი მოვალეობა დღევანდელ პირობებში, არის მოვალეობა არა მარტო პარიტეტიონალური, არამედ პოლიტიკური. რკ. გზელთა მსხვერპლი ამ საქმეში არის პოლიტიკური ბრძოლის მსხვერპლი, და ასეთი მსხვერპლი ვერ შეეკრთობს ბრძოლაში ნაწრთობს რკინის გზის დემოკრატიას.

ყრილობა საღამს და მადლობას უძღვნის მატარებლის მცველთა რაზმს, რომელმაც ასეთი თავდადება და სიმტკიცე გამოიჩინა თავდასხმელთა მოგვრების დროს.

ყრილობა სამინიმარს უთვლის დამსხვრევის დროს დაღუბულ ამხანაგთა და მგზავრების პირისუფლებას.

საქართველოს გარეგანი.

მაველ აგაფის წერილიდან, რომელიც მოთავსებულია ოქტომბრის 30 ს. „Донецкая Вести“-ში.

ბ. აგაფი თავისი სურვილით გამოგზავრებულა საქართველო ადრეტიკანში, დაუთვალიერებია ეს რესპუბლიკები და შემდეგ ასწერს თავის შთაბეჭდილებებს და შეხედულებებს მათ შესახებ. კერძოთ საქართველოს შესახებ იგი სწერს:

პირადი დეკვირებიდან და იმ ხალხის განცხადებებიდან, რომელიც ამიერ კავკასიას დიდხანია იცნობს, ცხადია, რომ ამიერ კავკასიის დირიგურათ ამ ეპოქაში არის საქართველო, ერთად ერთი მხარე ამიერ კავკასიისა, რომელმაც (საქართველომ) დაამყარა მტკიცე, სამაგალითო სახელმწიფო წესი რავი, და რომელსაც აქვს საქმითა შანსები და შესაძლებლობა, რომ ის იარსებებს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ იგი ამას ეცდება, და თუ სხვაგვარი შესაძლებლობა არ იქნება ქართველ ხალხისთვის უფრო მისაღები.

ტფილისში ჩამივიდი მე 27 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელ კრების მეორე სესიის გახსნის წინ.

საქართველოში მე მაინტერესებდა უნეტეს ნაწილად სამი საკითხი: იქ რუსების მდგომარეობა ამ ეპოქაში, საქართველო მთავრობისა და ხალხის მოპყრობა მათდამი; ქართველების შეხედულება რუსეთის სახელმწიფოებრივების იდებზე, საქართველოს რუსეთთან შეერთების შესაძლებლობაზე და პირობაზე, ბოლოს, რაც მე ესხა უფრო მნიშვნელოვანათა მიმართა— შეგვიერთდება თუ არა ჩვენ საქართველო ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში და თუ შეგვიერთდება რა პირობებში.

არ შემიძლია არ ვთქვა რაიმე საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებაზე და ზოგიერთ კანონებზე, რადგან ეს კანონები, რომლებიც მიღებულია საქართველოს დამფუძნებელ კრების მიერ და ნაწილობრივ უკვე ცხოვრებაში გატარებული, ცხად ყოფნ საქართველოს დამოუკიდებლობას ჩემ მიერ შემოთ ნაჩვენებ სამ პირობებზე.

საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა. უმაღლესი ორგანო მისი არის დამფუძნებელი კრება, არჩეული ოთხიან ფორმულის საფუძველზე, წარმომადგენლობის პროპორციონალური სისტემით, და რადგანაც მთელი საქართველო წარმოადგენდა ერთ საარჩევნო ოლქს, მის მსხვერპლთა უმრავლესობას, მათ რიცხვით რუსებსაც ჰყავდათ თავისი დეპუტატები დამფუძნებელ კრებაში.

აღმასრულებელ ორგანოს სათავეში დგას მთავრობა, შემდგარი 5 კაცისგან (განსაკუთრებული პრეზიდენტი რესპუბლიკისა არ არის), რომელიც პასუხს აგებს პარლამენტის წინაშე.

დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონებიდან უნდა აღინაშნოს: მიწის კანონი, რომელიც სხვათა შორის, ძლიერ ჰავას ჩვენი დონის მიწის კანონს, კანონი საეროობა და საქალაქო მმართველობისა და ადგილობრივი საარჩევნო სამართალზე (მომრიგებელი მოსამართლენი) კანონი საქართველოს მოქალაქეობაზე და სახელმწიფო ბეგარაზე. ამ უკანასკნელ კანონის მიხედვით, გაწვეულია ჯარში მხოლოდ ქართველი ახალგაზრდობა, რადგან რუსის და სხვა ერებს მიეკუთვნა აქვთ სამი თვის ვადა იმ საკითხის გამოსარკვევათ, დებულ ბენ ისინი საქართველოს ქვეშევრდომობას თუ

არა. მე ისევ დაუბრუნდები იმ მთავარ საკითხებს, რომლებიც უფრო მაინტერესებდა და რომლებიც შემოთ აღინაშნე.

საქართველოში დარჩენილ რესპუბლიკურ წესადგენს მიიღონ განათლებულ რუსულ ენაზე და იმასხურონ სახელმწიფო, საზოგადო ან კერძო დაწესებულებაში. პირველ კითხვის შესახებ დანამდვილებით შემძლია ვთქვა. პირველ დაწესებით სწავლა სახაზინო სკოლებში წარმოებს სამშობლო ენაზე, რის გამო ხსნაინ სკოლების საქმით რიცხვა, სადაც არის სწავლა ქართულ, რუსულ, სომხურ და ოსმალურ ენაზე. საშუალო სკოლებში საგნებს ასწავლიან ორ ენაზე, ქართულ და რუსულზე. ქ. ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებლებს 60% ში ნაციონალიზაცია არის, და 40% ში საგნებს ასწავლიან რუსულ ენაზე.

უნივერსიტეტში ნაციონალიზაცია არის, პალიტენიკუმში კი რუსულ ენაზე იკითხება ლექციები.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, მისი გახსნის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს და საგნების სასწავლო ენის არჩევაც მასზე არის დამოკიდებული. უფრო რთულია საკითხი რუსების სამსახურით უზრუნველყოფასა. რუსი გლეხები ისევ წინააღმდეგ მდგომარეობაში არიან—მიწის საკუთრების უფლება რჩება მათზე საესებით.

მაგრამ ინტელიგენციამ დაჰკარა თავის სამუშაოს ნაწილი, რადგან სახელმწიფო დაწესებულებების დიდი ნაწილის გაეროვნება მოხდა. დარჩა სამუშაო მხოლოდ სკოლებში და კერძო, უმთავრესად საბანკო და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში.

უსამსახუროთა დარჩენილი რუსის მოხელეები შეადგენენ რესპუბლიკით უმთავრეს მაცხოფლო ელემენტს.

მე მესმის მათი მდგომარეობა, მაგრამ აი საქმე რაშია: ვინ ვისთვის არსებობს, მოხელეები ხალხისთვის თუ ხალხი მოხელეებისთვის? მე ორი დღე ვიყავი გურიის სოფელში და ორი დღე კახეთის. ამ სოფლებში მე როგორც რუსს, მექცეოდნენ ძლიერ კარგათ, მაგრამ უნდა ვთქვა ისიც, რომ ამ სოფლების მცხოვრებლებმა ერთი სიტყვაც არ იციან რუსული. მათთან ლაპარაკი შემიძლია მხოლოდ თარჯიმანების შემწიობით.

საქოდავია რუსის მოხელეები, რომელიც უდანიშნულოთ ჩავარდნა ასეთ მიძიე მდგომარეობაში, სახელმწიფო დაწესებულებების გაეროვნების გამო, მაგრამ ასეთივე საცოდავია ხალხი და მისაღებია მათი უფლება, მოითხოვონ სასამართლოს წარმოება და მართვა-გამგეობა თავის გასაგებ ენაზე, რადგან შაბათი არის აღამიანისთვის და არა აღამიანი შაბათისათვის, და რომ მოხელეები არჩეობიან ხალხისთვის და არა ხალხი მოხელეებისთვის. ტფილისში არსებობს რუსული ნაციონალური საბჭო, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ცნობილია რუსული მცხოვრებლების ოფიციალურ ორგანოთ, და რომლის საშუალებითაც რუს მცხოვრებლებს შეუძლიათ დამოკიდებულება იქონიონ სახელმწიფო დაწესებულებებთან.

ამ საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია უ. ა. კალიუჩნი, მემარჯვენე ესერი.

ჩემ კითხვაზე, თუ როგორ მოეწყო საქართველოში რუსების ცხოვრება, მან გადაჭრით მიპასუხა, რომ ცხოვრება შეიძლება, ქონებრივი უფლება დაცულია კანონით, რუსებს საშუალება აქვთ მიიღონ სწავლა თავის ენაზე და ამის გარდა საქართველოს მთავრობა ძალას არ ატანა რუსებს იმასხურონ საქართველოში მხედრობაში.

არ შემიძლია რამოდენიმე სიტყვით არ მოვხსენიო ყოფილი რუსის სამხედრო პირები და კერძოთ ოფიცრები.

პრესის ერთ ნაწილში მიღებულია და უდავოა, რომ რუსის ოფიცრები საქართველოში საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ის, რაც მე ვიხილე ჩემი თვლით და გავიგე სარწმუნო წყაროებიდან, სრულებით არ შეესაბამება ამ ასეთ გავრცელებულ შეხედულებას.

მე ენაზე ტფილისის ქუჩებზე მრავალი გენერლები და ოფიცრები რუსის ჯარის ფორმაში და როდესაც სტუდენტების სასიდილო შიაც შევიდი აქ დონის ჯარის მამასახლისისც შეხვდი. ჩემს განცხადებას საზღვარი არ ქონდა. რას აკეთებენ საქართველოში ყველა ეს ოფიცრები მე არ ვიცი, მაგრამ გარეგნობით სრულებით არ ახდენენ შევიწროებულ შთაბეჭდილებას.

სარწმუნო წყაროებიდან არის ცნობილი, რომ საქართველო ერთად ერთი ქვეყანა ყოფილა რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, სადაც რუსის ოფიცრნი არ ყოფილან იძულებული ერთი დღით მიინც გეგხადა თავის ფორმა.

(დასასრული იქნება.)

გარეგნობა

საქართველოს სენატის სამოქალაქო საქმიანობის განხორციელების განყოფილების საქმიანობის სხდომის 14 ნომერის.

დანიშნული განსახილველად საქსაცო წესით შემდეგი საქმეები: (სხდომის განხილვა 10 საათზე)

1. საქმე ივანე მიკიტაძის ძის არტემიანის, ტფილისის ქალაქის გამგეობასთან 20000 მანეთი დასახილველის ანაზღაურების ძიებისა.
2. საქმე მარიამ მირაქოვისა იანემირაქოვის 5000 მან. შესახებ ძიებისა.
3. საქმე აბრამ ლეიბის ძის ტუნიაკის სავაჭრო სახლთან „ქ. ბასენცოვი“ 8808 მან. შესახებ ძიებისა.
4. საქმე ივანე ალექსის ძის ქელოძის მარიამ არტემის ასულის კულიჯანოვისაგან საჯარო ვაჭრობის გაუქმების ძიებისა.
5. საქმე ბაგრატ ივანოვის ძე მერაბოვი აბულა გულჯი გვიდარ ოლიასთან აფურხანის საკუთრების უფლების შესახებ ძიებისა.
6. საქმე ივანე და გიორგი აბესალომის ძეების მარბელებსა, მარიამ აბესალომის ასული აბაშიძისას და ელისაბედ აბესალომის ასული ფეხლნოვისას ქართლ იმერეთის სომეხ-გრიგორიანთა სავაჭრო კონსისტორიასთან აღმასრულებლის ფურცლის გაუქმების შესახებ ძიებისა.
7. საქმე თევდორე ავალიშვილის ტფილისის ელექტრონის ტრანზის უსახელო საზოგადოებასთან დასახილველის ანაზღაურებისათვის 12000 მან. შესახებ ძიებისა.
8. საქმე ანასტასია იაკობის ასული ბოგომოლოვისას პირად და როგორც მოურავისა გარდაცვალებული ტროფიმე გაბრიელის ძის ბოგომოლოვისა ობლების და ქონების ტფილისის ქალაქის გამგეობასთან ტროფიმე ბოგომოლოვის სიკვდილით მოხდენილ ზარარის ანაზღაურებისათვის 8550 მან. შესახებ ძიებისა.
9. საქმე ბარბარე ევგენის ასულის ციტრიკისას ქსენია ევგენის ასულის სილავეისასთან ევგენი სილავეის ანდრეის წერილის გაუქმების შესახებ ძიებისა.

გონივრული ცხოვრება

ოზურგეთის ქალაქის საბჭოში.

ოზურგეთის ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივი სხდომა, რომელიც შესდგა 29 ოქტომბერს, გაიხსნა საღამოს, 8 საათზე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ს. თოთიბაძის თავმჯდომარეობით.

დღეწინა: გამგეობის წევრები: ს. ი. ცხოველიძე, ვ. ა. სალუქვაძე, 11 ხმოსანი და საბჭოს მდივანი ი. კ. ლლონტი.

განსახილველი კითხვები: 1. სააღმშენებლო კომისიის მოხსენება ლახაურის ქუჩაზე ხიდის გაკეთების შესახებ, 2. ავიათმავლ მასწავლებელ გრაკოვის ფინანსური განყოფილებაში გაგზავნაზე გაწეული ხარჯების მიღება, 3. ქალაქის გეგმის გადასწავლა პარტიის მომუშავეთათვის ავანსათ 5,000 მან. მიცემა და 4. ავთიაქის მოსამსახურეთათვის მომატებული ჯამაგირის მიცემის შესახებ დროს განსაზღვრა.

1. პირველად სააღმშენებლო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ვ. სალუქვაძე, როგორც მოხსენებელი სხანს სააღმშენებლო კომისიის აუცილებელ საქმიანობაზე უყვანი ლახაურის ქუჩაზე ბაზრის წყალზე ცემენტის ხიდის გაკეთება 15 1/2 არშინი სიგრძით და 8 არშინი განით, რომელიც ქალაქის ინჟინერის გამოანგარიშებით დაედგება დაახლოებით 95,000 მანეთი; კომისია ვერ შეთანხმებულა სხოლად იმაში, რომ ხიდის გაკეთება გაიცეს იჯარით, თუ სამეურნეო წესით, უკანასკნელი მოსაზრების მომხრენი თავის მოსაზრებას ამით ასაბუთებენ, რომ ვინაიდან ძლიერ ცოტა დრო დარჩა ცემენტის მუშაობის (ერთი თვე) საჯარო ვაჭრობის წესით რომ კანონით ხანგრძლივ დროს მოითხოვს, ამისთვის საქმის დასაჩქარებლათ უმჯობესია ხიდი გაკეთდეს სამეურნეო წესით.

დ. ცეცხლაძე, გუშინ ინჟინერი გამოანგარიშებით იყო 70,000 მანეთი, დღეს კი 20,000 მანეთი მომატებია, იღბათ ხვალ კიდევ მოემატება. ამ რიგით ეს უბრალო აღნიშვნა და არა ხარჯ-აღრიცხვა, ჩვენი მუშაობის დრო ძლიერ მცირეა, რის მიხედვით ჩვენ შესაძლოა ხიდი დავანერგოთ და აშენებით კი ვერ ავაშენოთ. ჩემს აზრით დროებით ხიდი შევაკეთოთ და იმით დავკმაყოფილდეთ.

ალ. კალანდაძე მოითხოვს ხიდის აგება გაიცეს იჯარით, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს ჩვენი ინჟინერი. მოიჯარადრეს პირობაში ჩაგვიკეროთ და ამ რიგით, საქმე არც ისე გაკვირვებულა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ.

გერ. გოგოტიძე, ხიდი გაკეთდეს თანხებით ინჟინერის პროექტისა, მხოლოდ ინჟინერთან ერთად მეთვალყურეთ იყოს როგორც ამ დარგში გამოცდილი პიროვნება. ცეცხლაძე, რომელსაც ჩვენ გასამრჯელოთ უნდა მივცეთ გილდო, თუ მოინდომებენ მუშაობა ერთ თვეში აუცილებლად დამთავრდება.

ნიკ. დოლიძე, ჩემს აზრით აქ აზრთა სხვა და სხვაობა არ არის, მხოლოდ საკითხი იმაში რომ, რა შესაძლებლობის ფარგლებში გაკეთდეს ხიდი, მიზეზი კიდევ ის არის რომ შეგძლებოთ თუ არა ამ ერთი თვის განმავლობაში ცემენტის დამუშავება; ერთი თვის შემდეგ ხომ ცემენტის სეზონიც თავდება. ისეთი ხანგრძლივობა რათა ხიდის გაკეთება მოხდეს სამეურნეო წესით და მეთვალყურეობა დაევალოს დ. ცეცხლაძეს.

დ. ცეცხლაძე, მე როგორც ხმოსანი ისედაც მოვალე ვარ მეთვალყურეობა გავსწიო და არავითარ სასყიდელს არ ვიხდობ.

1. ცხოველიძე, როგორც გამოცდილებით ვიცი, სამეურნეო წესით საქმის გაკეთება უფრო ფერხდება, ვინა იჯარით გაცემულა, ამისათვის მას უფრო მიზან შეწონილათ მიიზნია ხიდის იჯარით გაკეთება.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ რომელსაც მონაწილეობა მიიღო კალანდაძემ, ჩხაიძემ, ქარცივიძემ, გოგოტიძემ, ანთელიძემ და ს. ხმის უმრავლესობით დაადგინა: ლახაურის ცემენტის ხიდის გაკეთება გაიცეს საიჯარო წესით.

ხმ. 5. დოლიძე თხოულობს შეტანილ იქნას ოქმში შემდეგი: „ვინაიდან იჯარით ხიდის გაკეთება მე მიმაჩნია არა სასურველათ და საქმის დასაჩქარებლათ, ამის გამო ის აცხადებს პროტესტს“.

2. შემდეგ საბჭომ მოიხილა რა ქალაქის გეგმის გადასწავლა პარტიის მომუშავეთა თხოვნა, მათთვის ავანსათ მომატების ანგარიშში 5,000 მანეთის მიცემის შესახებ, დაადგინა: დაიკალოს გამგეობას შეეკითხოს ქალაქთა კვების დასრულის შესახებ, რის შემდეგ მიეცეთ მათ მოთხოვნილი ავანსათ 5,000 მანეთი.

3. კრებამ უკამათოთ მიიღო ავთიაქოვი მასწავლებელი გრიგორი გრეკოვის ტფილისში ფინანსური სააგათ-ყოფის გამგზავრების ხარჯები სულ 1500 მანეთი.

4. დაბოლოს საბჭომ დადასტურა სატარიფო პალატის მიერ დატვირთული ავთიაქის მოსამსახურეების ჯამაგირის ნორმები და დაავალა გამგეობას განაორკიოს თუ რა თვიდან მიეცეთ მათ შორმატებული ჯამაგირები.

ტფილისის ქალაქი საბჭოში

10 ნომერის სხდომა.

წარმომადგენლის არჩევა ჯარში გამგეობის კომისიაში.

ქალიქის მოურავის ბ. ჩხიკვიშვილის მოხსენებით ახალგაზდათა ჯარში გამგეობის კომისიაში საბჭო ირჩევს ივ. მცხს.

სასურსათო საბინაო კრიზისი

